საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

№ 04/406-16 "05" 02 2016 წ.

შპს „სტუდია მაესტროს"

კომისიის ავტორიზებულ პირთა უწყებრივი რეესტრის მონაცემების შესაბამისად, შპს „სტუდია მაესტრო" ფლობს კერძო საერთო ტელემაუწყებლობის (BR-385) და კერძო სპეციალიზებული ტელემაუწყებლობის (BR-386) ავტორიზაციებს.

გამომდინარე იქიდან, რომ ამ ეტაპზე არ ხორციელდება სამაუწყებლო არხის „TV 11"-ის მაუწყებლობა, გთხოვთ 3 სამუშაო დღის ვადაში გვაცნობოთ, შეწყვიტა თუ არა შპს „სტუდია მაესტრომ" კუთვნილი BR-386 ავტორიზაციის ფარგლებში სპეციალიზებული მაუწყებლობა.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 45[1] მუხლის მე–7 პუნქტის შესაბამისად, <u>თუ ავტორიზებული პირი წყვეტს მაუწყებლობას</u>, ან მას განზრახული აქვს ავტორიზებული საქმიანობის, <u>მათ შორის, მაუწყებლობის სახეობის</u>, მოდიფიცირება, იგი ვალდებულია ეს 7 სამუშაო დღით ადრე შეატყობინოს კომისიას.

შეგახსენებთ, რომ „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 38–ე მუხლის მე–4 პუნქტის შესაბამისად, ავტორიზაცია, <u>ავტორიზაციის პირობების მოდიფიცირება</u> და მაუწყებლის ინიციატივით ავტორიზაციის შეჩერება ან გაუქმება ხორციელდება მხოლოდ კომისიის მიერ მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

მოგმართავთ, უზრუნველყოთ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვა.

პატივისცემით,

კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ აბაშიძე

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: **post@gncc.ge; www.gncc.ge**